ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ
და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO).

www.eugipp.eu

EUGIPP-ის შესახებ

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (EUGIPP) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტია, რომელსაც ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO).

პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეგმებში წინა პლანზე აყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგით. საქართველო და ევროკავ-შირი თანამშრომლობენ იმისათვის, რომ:

- უზრუნველყოფილ იქნეს უფლებათა მფლობელებისთვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი დონე;
- გაძლიერდეს საქართველოს სახელმწიფო უწყებების სააღსრულებო მექანიზმები;
- ხელი შეეწყოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის საქმიანობას;
- მიღებულ იქნეს ზომები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ინტელექ-ტუალური საკუთრების სფეროში, ასევე, კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ.

  პროექტი დაიწყო 2020 წლის 1 იანვარს და გაგრძელდება 3 წელი.

რატომ EUGIPP?

ინტელექტუალური საკუთრება ეხება ადამიანის გონების არამატერიალურ ქმნილებებს და წარმოადგენს კომპანიების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს ცოდნაში, ინოვაციებსა და შემოქმედებითობაში ჩადებული ინვესტიციებიდან მოგების მისაღებად. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ვრცელდება ისეთი აქტივების ფართო სპექტრზე, როგორებიცაა: პატენტები, სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლებები, მცენარეთა ახალი ჯიშები, ან გეოგრაფიული აღნიშვნები. ყველა ეს პროდუქტი, კომპანიის ბრენდიდან დაწყებული ავეჯის დიზაინამდე დაცულია ინტელექტუალური საკუთრების წყალობით.

ინტელექტუალური საკუთრების შექმნის, დაცვისა და აღსრულებისათვის არსებული ძლიერი გარემო ხელს უწყობს კერძო სექტორში ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის საიმედო ეროვნული სისტემა წარმოადგენს იმ საფუძველს, რაც ხელს უწყობს ინოვაციურ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდას.

EUGIPP

EU Georgia Intellectual Property Project

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ EUGIPP@euipo.europa.eu

www.eugipp.eu

@IPR_Dev

IPR Development

მიზნები

EUGIPP-ის ზოგადი მიზანია:

- დაეხმაროს საქართველოს შესაბამის უწყებებს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებასა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციაში, ეკონომიკური განვითარების და ბაზრის შესაძლებლობების სტიმულირების გზით.

ამით EUGIPP შეიტანს წვლილს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ადეკვატური, ეფექტიანი დონის მიღწევაში და, შესაბამისად, გააძლიერებს კომპანიების ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

EUGIPP-ის მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება სამ მოსალოდნელ შედეგზე ფოკუსირებით:

- ტექნიკური თანამშრომლობა: გაძლიერებული ინსტიტუტები, ქსელები და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე პროფესიონალები, უფრო ეფექტიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სისტემის შესაქმნელად;
- თანამშრომლობა პოლიტიკისა და აღსრულების მიმართულებით: საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის და აღსრულების მექანიზმების მოდერნიზაციის, გამჭვირვალობისა და სამართლიანი განხორციელების ხელშეწყობა;
- ცნობიერების ამაღლება: გაზრდილი ცნობიერება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სისტემის უპირატესობების შესახებ, პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებსა და ფართო საზოგადოების კონკრეტულ სეგმენტებს შორის საქართველოში.

აქცენტები

რა სახის ღონისძიებები ჩატარდება?

1. შესაძლებლობების გაძლიერება და ტრენინგი;
2. ტექნიკური და იურიდიული მხარდაჭერა;
3. კვლევა და მონაცემთა შეგროვება;
4. ცნობიერების ამაღლება;
5. ინფორმაციის გაზიარება.

სამიზნე ჯგუფები

- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი;
- პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ინტელექ-ტუალური საკუთრების უფლებებსა და ინოვაციებზე;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღმასრულებელი ორგანოები (სასამარ-თლო სისტემა, პროკურორები, საბაჟო და საგამოძიებო ორგანოები);
- მრეწველობა, ბიზნეს ასოციაციები და სავაჭრო პალატები;
- აკადემიური წრეები;
- ფართო საზოგადოება.

ინტელექტუალური საკუთრების პრიორიტეტული მიმართულებები

პრიორიტეტული მიმართულებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში:

- სასაქონლო ნიშნები;
- დიზაინები;
- საავტორო უფლებები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ EUGIPP@euipo.europa.eu

www.eugipp.eu

@IPR_Dev

IPR Development

EUGIPP

EU Georgia Intellectual Property Project